



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი(BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლავთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media)

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,

Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. European Journalism Institute-ის პროგრამა ჟურნალისტებისათვის
2. გრანტები საგამომიებო ჟურნალისტიკისთვის Fund for Investigative Journalism-საგან
3. უკვე წარმოებული ისტორიების გამოყენებით პროგრამებისა და მასალების სერიების შექმნის მხარდაჭერა
4. მაგისტრატურის სტიპენდიები ევროპასა და ამერიკაში Civil Society Leadership Award-საგან
5. Getty გრანტები ფოტოჟურნალისტებისათვის
6. გრანტი ეკო ჟურნალისტებისათვის
7. ტრენინგი ციფრული კომუნიკაციების ექსპერტებისათვის, მონტენეგროში
8. საერთაშორისო სემინარი ჟურნალისტებისათვის
9. პულიცერის ცენტრი იღებს პროექტებს მონაცემთა ჟურნალისტიკის სფეროდან
10. სტაჟირება Digital Communication Network Fall 2019-გან
11. გრანტები Filmmakers Without Borders-საგან მონაწილეებისთვის მსოფლიოს მასშტაბით
12. ვაცლავ გაველის სახელობის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან
13. ევროპული ინიციატივების ახალგაზრდული ფორუმი ნანტეში, საფრანგეთი
14. რორი პეკის სახელობის პრემია ვიდეოჟურნალისტებისათვის მთელი მსოფლიოდან
15. Logan Nonfiction-ის სტიპენდია
16. სემინარი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის აღმოსავლეთ ევროპიდან და ცენტრალური აზიიდან - M100 Young European Journalists Workshop 2019
17. საგამომიებო ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ბალტიიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან
18. საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსი Open Eurasia
19. “სექტორთაშორისი პარტნიორობის ხელშეწყობა“ -საგრანტო კონკურსი
20. სამოქალაქო მონიტორინგის და ადვოკატირების ინიციატივების მხარდასაჭერი საგრანტო კონკურსი
21. კონკურსი ჟურნალისტებისათვის
22. საგრანტო კონკურსი მყარი ნარჩენების შემცირებისა და სეპარირების პოპულარიზაციის მიზნით

## 1. European Journalism Institute-ის პროგრამა ჟურნალისტებისათვის

The Fund for American Studies (<https://tfas.org>) და The Media Project (<https://www.themediaproject.org>) თანამშრომლობა 2017 წელს დაიწყო, იმ მიზნით რომ განეხილებინათ პროექტი European Journalism Institute (EJI). EJI წარმატებულ სტუდენტებს და პროფესიონალ ჟურნალისტებს სთავაზობს შესაძლებლობას გაიგონ მეტი ჟურნალისტიკის და საზოგადოებრივი პოლიტიკის შესახებ პრადაში.

მონაწილეები ევროპიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, ცენტრალური აზიიდან და სამხრეთ ამერიკიდან შეძლებენ გამოიკვლიონ ფუნდამენტალური საკითხები რომლებიც ეხება: ჟურნალისტურ ეთიკას, რელიგიური თემების და კონფლიქტების გაშუქებას. ასევე, ბიზნეს-ჟურნალისტიკას.

დეტალები: <https://tfas.org/programs/international-programs/european-journalism-institute/how-to-apply>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 13 მაისი 2019 წ.

## 2. გრანტები საგამომიებო ჟურნალისტიკისთვის Fund for Investigative Journalism-საგან

გრანტის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს \$10 000 და ფარავს შემდეგ დანახარჯებს: მგზავრობა, დოკუმენტების შეგროვება და აღჭურვილობის შეძენა. ფონდი ასევე განიხილავს მოთხოვნებს მცირე სტიპენდიებზე, როგორც ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

სხვადასხვა გრანტს სხვადასხვა პირობა აქვს, უკეთ გაცნობა შეგიძლიათ განაცხადის ფორმაში. გრანტები გაიცემა 3-4 ჯერ წელიწადში.

იხილეთ დაწვრილებით: <http://fij.org/apply-for-a-grant>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 13 მაისი 2019 წ. ( 23:59 p.m. U.S. Eastern Time.)

### 3. უკვე წარმოებული ისტორიების გამოყენებით პროგრამებისა და მასალების სერიების შექმნის მხარდაჭერა

OPEN Media Hub აცხადებს კონკურსს განაცხადების მიღებაზე, რომელიც მიმართული იქნება სატელევიზიო და ონლაინ ჟურნალისტიკის უკვე შექმნილი კონტენტის განმეორებით გამოყენების მხარდაჭერაზე (კონტენტი განთავსებულია OPEN Media Hub-ის პლატფორმაზე). თითო განაცხადის მაქსიმალური ბიუჯეტი 7000 ევროა. აუცილებელია მისი მაქსიმალური დასაბუთება.

OPEN Media Hub შემდეგი მიმართულების საქმიანობას დააფინანსებს:

- არსებული ისტორიების თქვენ ენაზე თარგმნა და სუბტიტრების დამზადება;
- ორიგინალური გრაფიკის დამზადება;
- სტუდიის გამოყენება;
- ორიგინალური მუსიკის დამზადება;
- რედაქტირება/რენდერინგი;
- წამყვანის და გადამღები ჯგუფის მუშაობა;
- ყველა ელემენტი, აუცილებელი წარმოებისა და ტელე ტრანსლირებისათვის ან ინტერნეტში სერიების სახით განთავსებისათვის.

იხილეთ დაწვრილებით: <https://openmediahub.com/ru/2018/07/30/ger-support-for-usage-of-produced-stories-as-series-or-strands>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 14 მაისი 2019 წ.

### 4. მაგისტრატურის სტიპენდიები ევროპასა და ამერიკაში Civil Society Leadership Award-საგან

სასტიპენდიო პროგრამა Civil Society Leadership Awards გთავაზობთ სრულ სტიპენდიას მაგისტრის წოდების მისაღებად. კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, საუკეთესო პროფესიული უნარები და მოწოდება განახორციელოს სოციალური ცვლილებები სამშობლოში. სტიპენდია განკუთვნილია იმ ქვეყნების კანდიდატებისათვის, სადაც მოქალაქეები აწყდებიან დემოკრატიის სიმწირის პრობლემას მართვისა და სოციალური განვითარების საკითხებში.

სტიპენდიის მფლობელებს შეუძლიათ განათლება მიიღონ ჩინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, უნგრეთის, ინდოეთის, ლატვიის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის და ამერიკის უნივერსიტეტებში.

სრული სტიპენდია ფარავს სწავლის, ცხოვრების, კვების, სატრანსპორტო ხარჯებს საზაფხულო სკოლებსა და კონფერენციებში მონაწილეობისათვის. ასევე, სამედიცინო დაზღვევას. მცირედი ანაზღაურება გათვლილია პროფესიული განვითარებისთვისაც.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.opensocietyfoundations.org/grants/civil-society-leadership-award>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 მაისი 2019 წ.

## 5. Getty გრანტები ფოტოჟურნალისტიკისათვის

აღნიშნულ გრანტზე განაცხადის შეტანა შეუძლიათ ფოტოჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ საკუთარი ოსტატობის განვითარებისა და ზოგადად ჟურნალისტიკისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე.

კონკურსის სპონსორია Grants for Editorial Photography — Getty Images (<http://www.gettyimages.com>). კონკურსი მხარს უჭერს ნიჭიერ ფოტოგრაფებს, მნიშვნელოვან სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ თემებზე მომზადებული სიღრმისეული პროექტების ავტორებს.

შეთავაზებულია სამი გრანტი, თითოეული \$15 000 ოდენობით. თანხა შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მიმართულებით, მგზავრობის ხარჯის და აღჭურვილობის შეძენის ჩათვლით.

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს 500 სიტყვისაგან შემდგარი პროექტის აღწერილობა ინგლისურ ენაზე, მოკლე რეზიუმე და 20-25 ფოტო მაგალითისათვის.

იხილეთ დაწვრილებით: [http://wherewestand.gettyimages.com/gi\\_grants/grants-for-editorial-photography/#how\\_to\\_apply](http://wherewestand.gettyimages.com/gi_grants/grants-for-editorial-photography/#how_to_apply)

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 მაისი 2019 წ.

## 6. გრანტი ეკო ჟურნალისტიკისათვის

ეკო ჟურნალისტიკის საზოგადოება გთვავობთ გრანტებს საზოგადოებრივი სარგებლის მქონე ჟურნალისტური პროექტებისთვის. ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან, შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი ეკო საკითხების პროექტის დასაფინანსებლად. გრანტის ოდენობა 5 000 აშშ დოლარის ოდენობისაა. პროექტები უნდა ეხებოდეს ბიო მრავალფეროვნების თემას და სირთულეებს, რომელთაც ადგილობრივი თემები აწყდებიან მსოფლიოს მასშტაბით. სახსრები შეიძლება იყოს გამოყენებული ჟურნალისტიკის საქმიანობის დასაფარად, მულტიმედია მასალების შესაქმნელად, მგზავრობისათვის. ჟურნალისტებს, რომლებიც არ არიან SEJ-ის წევრები, მოუწევთ განაცხადის წარდგენისათვის 40 დოლარის გადახდა.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.sej.org/initiatives/fund-for-environmental-journalism>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 მაისი 2019 წ.

## 7. ტრენინგი ციფრული კომუნიკაციების ექსპერტებისათვის, მონტენეგროში

„ციფრული გავლენის მომხდენები მოქმედებაში“ - Digital Communication Network (<http://www.digicomnet.org>) და World Learning იწვევს ციფრული კომუნიკაციების ექსპერტებს ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი გაიმართება 18-19 ივნისს ბუდვეში, მონტენეგრო. სამუშაო ენა- ინგლისური. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სოციალურ მეწარმეობაზე. მოთხოვნილებები კანდიდატების მიმართ: იყოს ციფრულ საკითხებში სპეციალისტი-მაგალითად: ანალიტიკოსი, ჟურნალისტი, მარკეტოლოგი. ორგანიზატორები დაფარავენ ყველა ხარჯს- ფრენის, ადგილზე ცხოვრების, ამისათვის საჭიროა ანკეტის შევსება.

იხილეთ დაწვრილებით: <https://web.facebook.com/events/1550496911752571>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 16 მაისი 2019 წ.

## 8. საერთაშორისო სემინარი ჟურნალისტებისათვის

«კრიტიკული ჟურნალისტიკა ციფრულ ეპოქაში: ობიექტურ ინფორმაციაზე წვდომა ახალგაზრდებისათვის» - Cooperation and Development Network Eastern Europe (<https://www.cdnee.org>) ორგანიზებას უწევს სემინარს, რომელიც 2-7 ივლისს საქართველოში გაიმართება. სემინარში მონაწილეობისათვის განაცხადის შევსება შეუძლიათ 16-დან 35 წლამდე ჟურნალისტებს.

თემებს შორისაა: უფლებები ციფრულ ინფორმაციაზე და ახალი ონლაინ ინსტრუმენტები, რომელთაც ქსელში საზოგადოებასთან კავშირის გაუმჯობესება შეუძლია. პროგრამა მოიცავს თეორიულ ცოდნასაც, მუშაობას საშუალო ზომის ჯგუფებში, სემინარებს, დისკუსიებს და არაფორმალური სწავლების სხვა სახეობებს.

ორგანიზატორები უზრუნველყოფენ მონაწილეებს სწავლებისთვის საჭირო ყველა მასალით, საცხოვრებლით, კვებით, დაფარავენ ვიზის ხარჯს და მგზავრობის ხარჯის 80-90 %. მონაწილეობის ღირებულება მერყეობს 20-50 ევროს შორის, ქვეყნიდან გამომდინარე.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.cdnee.org/open-call-for-participants-international-seminar-critical-journalism-in-digital-era-youths-access-to-non-biased-information>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 19 მაისი 2019 წ.

## 9. პულიცერის ცენტრი იღებს პროექტებს მონაცემთა ჟურნალისტიკის სფეროდან

კრიზისების გაშუქების პულიცერის ცენტრი (<http://pulitzercenter.org>) განიხილავს პროექტებს მონაცემთა ჟურნალისტიკის სფეროდან, რომლებიც შეეხება საკუთრების უფლებას.

პროგრამა განსაკუთრებით დაინტერესებულია მონაცემებზე დაფუძნებული მასალებით, რომლებშიც გამოყენებულია სატელიტური ფოტოები, 360-გრადუსიანი ვიდეოები, დრონების ჩანაწერები, სენსორების მონაცემები, ინტერაქტიული რუკები ან გრაფიკა.

პროექტების შესაძლო თემები: მიწათსარგებლობა, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები მიწაზე, მიწებთან დაკავშირებული გარიგებების გამჭვირვალობა, რესურსების გამოყენების უფლება ან მომიჯნავე უფლებები.

შეირჩევა სულ 3-დან 5-მდე პროექტი, რომელთა ავტორები მიიღებენ გრანტებს.

იხილეთ დაწვრილებით: <http://pulitzercenter.org/blog/open-call-proposals-2019-data-journalism-and-property-rights-grants>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 31 მაისი 2019 წ.

## 10. სტაჟირება Digital Communication Network Fall 2019-გან

პროგრამის ფარგლებში კომუნიკაციის სპეციალისტებს შეეძლებათ გაიარონ სტაჟირება არაკომერციულ, არასამთავრობო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მედია ორგანიზაციებსა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

ორგანიზატორები ფარავენ ყველა ხარჯს და გასცემენ სტიპენდიას.

მონაწილეობისათვის აუცილებელია შემდეგი გამოცდილება: მუშაობა- მედიაორგანიზაციებში, კომუნიკაციების კომპანიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში. ასევე, შესაძლებელია იყოს ელექტრონული მმართველობის განმავითარებელი ან საზოგადოებრივი მოძრაობის წევრი.

იხილეთ დაწვრილებით: <https://worldlearninginnovanddev.wufoo.com/forms/r1kcrxvq0inpk6k>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 1 ივნისი 2019 წ.

## 11. გრანტები Filmmakers Without Borders-საგან მონაწილეებისთვის მსოფლიოს მასშტაბით

გამოცდილ ან დამწყებ დოკუმენტური ფილმების ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადები საგრანტო დაფინანსებაზე.

Filmmakers Without Borders გთავაზობთ გრანტებს მხატვრულ, დოკუმენტურ ან ექსპერიმენტულ პროექტებზე სამუშაოდ. ასევე, ახალი მედიის სფეროში. გრანტების ოდენობა მერყეობს 100-დან 5 000 დოლარამდე და შეიძლება იყოს გამოყენებული მოსამზადებელი პერიოდის დასაფინანსებლად. ასევე, წარმოების, პოსტპროდუქშენის, ან ფესტივალებზე განაცხადების წარდგენისათვის. განმცხადებლებმა უნდა წაარდგინონ სხვადასხვა მასალა, საპროექტო წინადადებისა და ვიდეოსეს ჩათვლით.

იხილეთ დაწვრილებით: <http://filmmakerswithoutborders.org/grants>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 1 ივნისი 2019 წ.

## 12. ვაცლავ გაველის სახელობის სტიპენდია ჟურნალისტებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან

ვაცლავ გაველის სტიპენდიის მიზანია- მხარი დაუჭიროს პერსპექტიულ ჟურნალისტებს ისეთი ქვეყნებიდან, სადაც დამოუკიდებელ მედიასაშუალებებთან მიმართებით პრობლემებია.

განაცხადი შედგება მონაწილის მონაცემებისაგან და სამოტივაციო წერილისაგან. საჭიროა სამი ნაშრომის ნიმუში, ორი სარეკომენდაციო წერილი, რეზიუმე და „წერილი ვაცლავ გაველს“.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ჟურნალისტებს ბელორუსიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, მოლდოვიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. სტიპენდიანტები რომლებიც შეირჩევიან, მიიღებენ 6 თვიანი სტაჟირების შესაძლებლობას (2019 წლის 18 ნოემბრიდან 2020 წლის 26 ივნისამდე), რადიო თავისუფლების ოფისში პრადამი (RFE/RL) .

იხილეთ დაწვრილებით: <https://pressroom.rferl.org/call-for-applications-vaclav-havel-journalism-fellowship-2019-2020>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2 ივნისი 2019 წ.



## 13. ევროპული ინიციატივების ახალგაზრდული ფორუმი ნანტეში, საფრანგეთი

Nantes Creative Generations იწვევს ახალგაზრდებს სოლიდარობის ფორუმზე დასასწრებად, რომელიც ეძღვნება გარემოს დაცვას, შემოქმედებით თანამშრომლობას და ევროპის მოქალაქეთა შორის ურთიერთობების განვითარებას. ფორუმი გაიმართება 23-26 ოქტომბერს, ნანტეში, საფრანგეთი.

4 დღის განმავლობაში მონაწილეებს (მონაწილეები 18-დან 30 წლამდე) შეეძლება წარადგინონ პროექტები და პრეზენტაციები, იმუშავონ ლოკალურ პროექტებზე ევროპულ დონეზე (მათ შორის ტრანსსასაზღვრო). სამუშაო ენა - ინგლისური. ყველა ხარჯს ფარავს ორგანიზატორი.

იხილეთ დაწვრილებით: <http://www.nantescreativegenerations.eu/en/forum/calls-for-application>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 3 ივნისი 2019 წ.

## 14. რორი პეკის სახელობის პრემია ვიდეოჟურნალისტებისათვის მთელი მსოფლიოდან

აღნიშნული პრემიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ვიდეო ჟურნალისტებს-ფრილანსერებს, რომლებიც აშუქებენ საერთაშორისო სიახლეებს და მიმდინარე ამბებს.

რორი პეკის სახელობის ფონდი მისი გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ 1955 წელს დაფუძნდა. ვიდეო ჟურნალისტი რორი პეკი მოსკოვში გადაღებებისას მოკლეს. რორი პეკის პრემია ენიჭებათ უშტატო ვიდეოჟურნალისტებს შემდგომ სამ კატეგორიაში: ახალი ამბები, სიუჟეტები და პრემია Professional Impact Award.

ყველა კატეგორიაში პირველ რგში გათვალისწინებული იქნება ოპერატორის ნამუშევრის ხარისხი, მაგრამ ასევე ფასდება რეპორტიორის მუშაობა, ინიციატივა და პროექტის ამბიციურობა.

კონკურსზე უნდა იქნეს წარდგენილი მასალები, რომლებიც ეთერში გავიდა (ტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოს და აღიარებული ონლაინ მედიის პლატფორმაზე) 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 მაისამდე.

არა ინგლისურ ენაზე მომზადულ მასალებს უნდა ახლდეს დეტალური აღწერა და ტირები ინგლისურ ენაზე.

იხილეთ დაწვრილებით: <https://rorypecktrust.org/Awards/2019/Open-for-Entries>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 5 ივნისი 2019 წ.

## 15. Logan Nonfiction-ის სტიპენდია

Logan Nonfiction Program აცხადებს განაცხადების მიღებას სასტიპენდიო პროგრამაზე, რომელიც წარიმართება ოქტომბრიდან დეკემბრამდე ქერი რენსელერვილის სახელობის გლობალური კეთილდღეობის ინსტიტუტში, ნიუ იორკის შტატი.

აღნიშნულ სასტიპენდიო პროგრამაზე განაცხადის წარდგენა შეუძლიათ: ჟურნალისტებს, დოკუმენტური ფილმების ავტორებს, ფოტოგრაფებსა და მულტუმედია კონტენტის შემქმნელებს, რომლებიც მუშაობენ მოცულობით სიღრმისეულ დოკუმენტურ პროექტებზე.

პროგრამა მიმართულია დემოკრატიის გაძლიერებისაკენ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებებს მხარდაჭერის გზით. კანდიდატებმა უნდა წარადგინონ განაცხადი და სოციალური მნიშვნელობის პროექტის თემატიკა, რომელიც კავშირში იქნება პოლიტიკასთან, ჯადაცვასთან, ეკოლოგიასთან, მართლმსაჯულებასა და ადამიანის უფლებებთან. ორგანიზატორები უზრუნველყოფენ საცხოვრებელს, კვებას და საკონსულტაციო მხარდაჭერას 10 კვირამდე ვადით.

იხილეთ დაწვრილებით: <https://careyinstitute.org/programs/nonfiction/nonfiction-fellowship/application-guidelines>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივნისი 2019 წ.

## 16. სემინარი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის აღმოსავლეთ ევროპიდან და ცენტრალური აზიიდან - M100 Young European Journalists Workshop 2019

სემინარში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს 18-დან 26 წლამდე, ევროპიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, ბელორუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი) ასევე, რუსეთიდან.

ევროპელი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის სემინარი M100, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და DW-ს მხარდაჭერით გაიმართება 9-18 სექტემბერს პოტსდამსა და ბერლინში, გერმანია. თემა: „კითხვა ციფრულ სამყაროში- ინოვაციური ჟურნალისტიკა“.

პროგრამა შეიცავს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებებს. დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა უნდა წარადგინონ პროექტის იდეა, რომელზეც ისურვებდნენ მუშაობას.

იხილეთ დაწვრილებით: <http://www.m100potdam.org/en/m100/m100-young-european-journalists/application>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 16 ივნისი 2019 წ.

## 17. საგამომიებო ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ბალტიიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან

საზაფხულო სკოლის სტიპენდიის მოპოვებისათვის განაცხადების გაგზავნა შეუძლიათ ჟურნალისტებს ბალტიისპირეთიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. საგამომიებო ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლა გაიმართება 14-17 აგვისტოს რიგაში, ლატვია. სკოლა ორგანიზებულია მედია კვლევების ცენტრის მიერ SSE Riga.

ტრენინგის თემებია: რედაქტირება, რადიო და პოდკასტები, ვიზუალიზაცია, ძიება ინტერნეტში, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის თემების გაშუქება და ა. შ. ძირითადი მომხსენებელი – ჟურნალისტი ქეროლ კადვალადრი, Cambridge Analytical საქმიანობის გამოძიების ავტორი.

სწავლების საფასური 350 ევროს შეადგენს. მონაწილეებს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან შეუძლიათ შეავსონ განაცხადი სტიპენდიის მოსაპოვებლად, რომელიც ფარავს სწავლების და ადგილზე ცხოვრების ხარჯებს.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.media-summerschool.lv>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 21 ივნისი 2019 წ.

## 18. საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსი Open Eurasia

Open Eurasia არის ყოველწლიური საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსი, რომელიც იმართება ჟურნალისტებს, მწერლებს, პოეტებს, ვიდეოგრაფებს, ილუსტრატორებს შორის. საპრიზო ფონდი შეადგენს 31 000\$. გამარჯვებულებს შეუძლიათ არა მხოლოდ უფასოდ გამოსცენ წიგნი, არამედ მოაწიონ მისი პრეზენტაცია Open Eurasian Book Forum & Literature Festival ფარგლებში 2020 წელს.

ნამუშევრები მიიღება ონლაინ ინგლისურ, ყაზახურ, რუსულ, ყირგიზულ, უზბეკურ, ტაჯიკურ და ბელარუსულ ენებზე- კატეგორიის მიხედვით.

კონკურსზე თითო კატეგორიაში თითო განაცხადის წარდგენა შეიძლება. კატეგორიები: პროზა, პოეზია, ლიტერატურული თარგმანი, ილუსტრაცია, ვიდეო ფილმი, პუბლიცისტიკა.

იხილეთ დაწვრილებით: <http://www.awardslondon.com/uslovia>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 სექტემბერი 2019 წ.

## 19. “სექტორთაშორისი პარტნიორობის ხელშეწყობა” -საგრანტო კონკურსი

გეოგრაფია: საქართველო

«სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი» (CSRDG) აცხადებს საგრანტო კონკურსს რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის: «სექტორთაშორისი პარტნიორობის ხელშეწყობა» .

კონკურსი ცხადდება პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით.

გრანტო კონკურსის მიზანია, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფციის პოპულარიზაცია და სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობის კულტურის დამკვიდრება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონის მდგრად განვითარებას.

კონკურსის ამოცანაა, სექტორთაშორისი პარტნიორობის ხელშეწყობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბიზნეს კომპანიებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად განხორციელებული ინიციატივების მხარდაჭერით.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.csrdg.ge/konkursebi>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 მაისი 2019 წ. (18:00).

## 20. სამოქალაქო მონიტორინგის და ადვოკატირების ინიციატივების მხარდასაჭერი საგრანტო კონკურსი

გეოგრაფია: საქართველო

ევროპის ფონდი სამოქალაქო ორგანიზაციებს სთავაზობს საგრანტო კონკურსში მონაწილეობას, რომლის მიზანია სამოქალაქო მონიტორინგის და ადვოკატირების გაძლიერება, ასევე გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად ევროპის ფონდი პროგრამის ფარგლებში „თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისათვის“ იწვევს საქართველოში მოქმედ და რეგისტრირებულ სამოქალაქო ორგანიზაციებს წარადგინონ საპროექტო განაცხადები.

საგრანტო კონკურსის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

იხილეთ დაწვრილებით: <http://www.epfound.ge/grants-informations/grantmaking-2>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 23 მაისი 2019 წ. (17:00).

## 21. კონკურსი ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია: საქართველო

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის «პენიტენციური და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით» ფარგლებში, ორგანიზაცია «ციხის საერთაშორისო რეფორმის» სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი აცხადებს კონკურსს ჟურნალისტებისთვის, რათა გამოვლინდეს საუკეთესო ნამუშევრები პენიტენციური და პრობაციის სისტემების რეფორმების პროცესში მიღწეული პროგრესის, არსებული ტენდენციების და გამოწვევების შესახებ.

კონკურსის მიზანია მედიისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებით ხელი შეეწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას პენიტენციური და პრობაციის სისტემებში მიმდინარე რეფორმების შესახებ და გაზარდოს გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკური ინსტიტუციების ანგარიშვალდებულება აღნიშნული პოლიტიკის შემუშავების პროცესში. საქართველოში მოქმედი ყველა ტელე-რადიო, ბეჭდვით და ონლაინ მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობის მიღება

იხილეთ დაწვრილებით: <https://jobs.ge/ge/?view=jobs&id=207287>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 31 მაისი 2019 წ.

## 22. საგრანტო კონკურსი მყარი ნარჩენების შემცირებისა და სეპარირების პოპულარიზაციის მიზნით

გეოგრაფია: საქართველო

USAID პროგრამა WMTR II-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN, გამოცხადდა საგრანტო კონკურსი არაკომერციული იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობა მიმართული იქნება მყარი ნარჩენების შემცირების და მათი სეპარირების პოპულარიზაციისაკენ.

საგრანტო კონკურსი ითვალისწინებს ისეთი აქტივობების დანერგვას, რომელიც სამიზნე რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ცნობიერების დონის ამაღლებას ემსახურება, ასევე ბენეფიციარებს შესთავაზებს კონკრეტულ სისტემებს საკითხების გადასაჭრელად.

იხილეთ დაწვრილებით: <https://jobs.ge/en/?view=jobs&id=215457>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 14 ივნისი 2019 წ. (18:00).

© Baltic Centre for Media Excellence, 2019.

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები: ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, დიანა ხოდულინა, ეგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- tfas.org
- fij.org
- openmediahub.com
- opensocietyfoundations.org
- wherewestand.gettyimages.com
- sej.org
- facebook.com
- cdnee.org
- pulitzercenter.org
- worldlearninginnovanddev.wufoo.com
- filmmakerswithoutborders.org
- pressroom.rferl.org
- nantescreativegenerations.eu
- rorypecktrust.org
- careyinstitute.org
- m100potsdam.org
- media-summer-school.lv
- awardslondon.com
- csrdg.ge
- epfound.ge
- jobs.ge